ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
...ლისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ...ია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
...მარ თი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
**სამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში— 300 მან. ცალკე №—10 მ.

...ლიწადი მეექვსე. — სამშაბათი, ენკენისთვის 14. 1920 წ. № 99 — ფასი 10 მანეთი

## ეროვნულ-დემოკრატიული
**პარტიის მთავარი კომიტეტი**

...თავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ ლევანი და მართა ჩიქოვანები, რომ სექტემბრის 14-ს არის მეორმოცე დღე ტრაგიკულად დაღუპული საყვარელი შვილისა

## თამარის

წირვა და პანაშვიდი იქნება ქუთაისში საფირჩხიის ეკლესიაში დილის 10 საათზე.
3 3122—2

გაზ. ,,საქართველოს'' კონტორა
...მით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზეთი თვიურად ღირს 300 მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

...იიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

## ,,ახალ სხივზე''

გაზეთი გამოდის **გრიგოლ გიორგაძის** რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მან. ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა ,,ახასხივს''
6—3

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსებული

## პირველი ქართული ბუხგალტერიის კურსები

**ალ. მ. საათაშვილისა**
**(წელიწადი მეოთხე)**

...ველა საგნები სპეციალურად ქართულ ენაზეა. პირობის გაგება შეიძლება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—6 საათამდე. ტფილისი, დუშეთის ქუჩა, ...ლი № 9. წყნეთის ქუჩასთან ახლოს, ტრამვ. №№ 5 და 9.
2—3128—4

## წლიური კრება

ქართული **სამუსიკო** საზ-ბისა დანიშნულია 19 სექტემბერს დილის 10 საათზე, პეტრე დიდის ქ. № 8.

თუ ქვორუმი არ შესდგა, ერთ საათის შემდეგ კრება ჩაითვლება კანონიერად.
2—23—1.

**ამ წლის ენკენისთვის 12-დან კვლავ გამოდის**
ყოველ კვირეული სამეურნეო,
საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

## ,,სასოფლო გაზეთი''

**გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:**
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

**,,სასოფლო გაზეთში''** მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო ცალი 10 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპექ. № 25, გაზ. ,,საქართველოს'' ბინაზე.
24 7 1

მიმდინარე წლის 1 სექტემბერიდან ტფილისის ცენტრალურ ფოსტის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.)

**გაიხსნა**

## ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირველ დაწყების სასწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმისაგან) და 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსები და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულათ დამთავრებისთანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში.
3—27—1

სახელმწიფო თეატრი

## ბალეტის სკოლა

იღებენ მოწაფეებს **ვაჟ და ქალთ** 9 დან 16 წლ. ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11 დან 2 საათ. გამოცდა 15 სექტემბერს.

სკოლის დირექტორი **მ. ი. პერინი**

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები
## თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისთვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება.
3101. 15—4

## ქართული დრამის დირექცია

იწვევს თანამშრომლებს

## ქალ-ვაჟებს

გამოცდა ოთხშაბათს 21 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ქართული დრამის თეატრის სცენაზე (ყოფილი არტისტ. საზოგადოების თეატრი) პირობების გაგება იქვე, ყოველდღე, დღის 2-ის ნახ. საათამდე, სამხატვრო ნაწილის გამგე-დირექტორთან.
3—17—2

**სხვაგან სად! თუ არ სასადილო —**

## ,,ტაშირში''?!

(ყოფილი ,,ეკონომია'') შტაბის ქუჩა

**პუშკინის ბაღის პირდაპირ**

ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.
ვისადილოთ ,, 12--6 ს.
ვივახშმოთ ,, 6--12 ს.

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეული წყლები.

## მოითხოვეთ ყველგან

ბუნებით დაჯილდოებული-საუკეთესო ხარისხის

# კონიაკი

**გაწმენდილი-პურის არაყი და ტკბილი სასმელები**

## დ. ი. კალანდაძისა

შეიძლება მიიღოთ ბითუმად და წვრილად თვით ქარხანაში ვაგზლის ქ. № 5

## კიდევ ამერიკის ნოტის შესახებ.

ამერიკის ნოტამ რუსეთის დღევანდელი მდგომარეობისა და მომავალ პერსპექტივების შესახებ ფრთები შეასხა ყველა მათ, ვინც დღესაც ოცნებობს ,,დიდისა და მთლიანი რუსეთის აღდგენისათვის 1914 წლის წინად არსებულ საზღვრებში''. შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის ბენ ბრიჯი კოლბის განცხადებას ჯერ ხნობით გამოეხმაურა ეგრედ წოდებული ,,სამხრეთ რუსეთის'' მთავრობა ცნობილ პეტრე სტრუვეს პირით. უკანასკნელმა გენერალ ვრანგელის მთავრობის სახელით სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა ამერიკის საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარს იმ ,,ძვირფას დახმარებისათვის, რომელსაც შეერთებული შტატები უწევენ რუსულ ეროვნულ საქმეს''. ვრანგელის მთავრობის საგარეო საქმეთა

# დ ღ ე ს

პოლონელები საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლას ავითარებენ: ბრძოლის მთავარი ხაზი იშლება ბრესტლიტოვსკისა და ოპალინის რაიონებში. პოლონელებმა ტყვედ წამოიყვანეს 2300 კაცი, 55 ტყვიისმფრქვევლები 4 ზარბაზანი და მრავალი სხვ.

ჩინეთში რევოლიუცია დაიწყო.

რუმინეთს სურს საბჭოთა რუსეთთან კეთილმეზობლურ განწყობილებაში შევიდეს.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი შლიაპნიკოვი შვეციის მთავრობამ დააპატიმრა.

პოლონელებმა ვრანგელის დახმარებაზე უარი სთქვეს.

პეტროგრადში არეულობა მომხდარა. ზოგიერთი სახალხო კომისარი ნევაში გადაუყრიათ.

ხმებია ცნვერ ფაშის დაპატიმრებაზე.

სპარსელები განაგრძნობენ ბოლშევიკების დევნას.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური: კიდევ ამერიკის ნოტის შესახებ.

სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლის გამო.

პრესა: ახალი სხივი:"

ნ. კეცხოველი: ბარათი თუშეთზე-

ჩვენი კორესპონდენტები: ქვალონი (ზუგდიდის მაზრა).

---

მინისტრის მიმართვაში აშკარად არის აღნიშნული, რომ „რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა შეადგენს რუსულ ნაციონალურ წრეების მთავარ მისწრაფებათა განსახეა". ამ მოტივებს სავსებით უერთდება სამხრეთ რუსეთის მთავრობა, ეს არის მისი პოლიტიკური პროგრამის საფუძველი"...

ასეთი დაუფარავი ალტაცებით მიეგება „სამხრეთ რუსეთის მთავრობა" ამერიკის აზრის გამოცხადებას რუსეთის ბედის შესახებ! უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკის შეხედულებით რუსეთის არც სხვა მთავრობანი და სოციალური წრეები დარჩებიან უკმაყოფილონი; მაგრამ ვიკითხოთ,—ნაადრევი არ არის სიხარული? ნუ თუ სერიოზულად ჰფიქრობენ რუსეთში, რომ შეერთებული შტატების ნოტას მართლაც შეუძლიან რეალი გადატრიალების მოხდენა რუსეთის საქმეებში? ჩვენ რუსებზე ნაკლებად არ გვესმის ჩრდილო ამერიკის საერთაშორისო გავლენა და მნიშვნელობა, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოკეანის გადაღმა რესპუბლიკაზე ადრე სხვა დიდ სახელმწიფოებმაც არა ერთხელ გამოსთქვეს თვისი „ურყევი" შეხედულება რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობის სასარგებლოდ, მაგრამ ისტორიულ პროცესის „რკინის კანონმა" ამ სახელმწიფოთა პოზიცია დაუნდობლად შეაყირავა...

მოგეხსენებათ, რომ საფრანგეთი, რომლის საერთაშორისო გავლენაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს რუსეთის ნაციონალისტურ წრეებში, დაახლოვებით ერთი წლის წინად იმავ აზრებს გამოსთქვამდა რუსეთის შესახებ, რასაც ამ ჟამად აღგილი აქვს ამერიკის ნოტაში. რესპუბლიკანური საფრანგეთიც კათეგორიულად აცხადებდა, რომ „განუყოფელი რუსეთის" დაყოფა არ შეადგენს მის მიზანს, პირიქით საფრანგეთის მთავრობა მუდამ მხარს უჭერდა საერთაშორისო სფეროში ისეთ მომენტს, რომელნიც მიმართული იყო სწორედ ამ „მთლიანი, განუყოფელი და დიდი რუსეთის" აღდგენისათვის. მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთი საკმარისად გაეცნო რუსეთის საერთო ვითარებას, დააკვირდა მის პერიფერიებზე აღმოცენებულ სახელმწიფო ერთეულების ზინაარს და შეუნებრივად მივიდა შესაფერ დასკვნამდე. კერძოდ საქართველოს შესახებ საფრანგეთის შეხედულება ისე რადიკალად შეიცვალა, რომ ამას წინად ჩვენი სამშობლოდან გამგზავრებული საფრანგეთის რწმუნებული გრაფი დე-მარტელი ღრმა რწმენას გამოსთქვამდა საფრანგეთის მხრივ ყოვნელობას არ მოაკლებს საქართველოს იურიდიულად ცნობისათვის...

ასე იცვლებიან „შეურყეველი" შეხედულებანი!

ამერიკის ნოტის გამო შემთხვევა გვქონდა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი: ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ ტატ-სეკრეტარ კოლბის შეუფერებელ განცხადებას ადგილი სრულებით არ ექნებოდა, უკეთუ ამერიკის მთავრობა გაცნობილი იქნებოდა რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე მოწყობილ სახელმწიფოთა ცხოვრებას. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ შეერთებულ შტატებში არავითარი წარმოდგენა არა აქვთ კერძოდ ჩვენს სამშობლოზე და რალა საკვირველია, რომ მის ნოტაში საქართველო მოექცა „გასაუქმებელ" სახელმწიფოთა რიცხვში.

ჩვენი მთავრობა, სამწუხაროდ, არა ცდილობდა ამერიკასთან ურთიერთობის დამყარებისათვის. მთავრობა, ალბად, იმის მოლოდინში იყო, რომ ამერიკა გამოგზავნიდა ჩვენს სახელმწიფოში თავის წარმომადგენელს ისევე, როგორც სომხეთში ჰყავდა პოლიტიკური და სხვა მისიები! მაგრამ, „თუ მთა არ მივიდა მაჰმადთან, თვითონ მაჰმადი მივა მასთან". საქართველოს მთავრობაც ალბად მივა ამ „მთასთან".

დაბრკოლებანი და წინააღმდეგობა მრავალი უხილავს აღდგენილ საქართველოს, მაგრამ ბოლოს ბედი მოწყალე გამოდგარა! საქართველოს დამოუკიდებლობა პირველად შეიწყნარა თვით ქართველმა ერმა და სწორედ ამაშია მისი შეურყევლობა!

ამერიკაც „შეგვირიგდება". შაშ ლაქად დარჩება მხოლოდ რუსის საზოგადოებრივი აზრის შეურიგებლობა...

ასეთი „ინცინდენტები" მარგებელია: უკეთესად ვერკვევით პოლიტიკურ „განწყობილებაში", საფრთხეც ვიცით რა მხრიდან მოგველის...

## სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლის გამო.

სოციალისტური დელეგაციის ჩვენში ჩამოსვლის შესახებ ბევრი რამ დაწერილა ჩვენს პრესაში. მიუხედავად ამისა, დელეგაციის მოგზაურობის მიზანი ბევრისთვის კიდევ ბუნდოვანად რჩება.

არ არის გასაკვირველი, რომ დელეგაციის მოგზაურობის დაფასებაში ერთი აზრი არ არსებობს ჩვენს პრესაში. სავსებით გასაგებია, რომ ჩვენს სოციალისტურ წრეებში ეს მოგზაურობა დიდს სიხარულს იწვევს. ისიც გასაგებია, რომ არა სოციალისტური წრეები ამ მოგზაურობას ისეთ დიდს მნიშვნელობის არ აძლევენ, თუმცა იმათაც სასარგებლოდ მიაჩნიათ, რომ ჩვენი მეტად გათამამებული სოციალისტები თავის უფრო მომზადებულ ევროპიელ ამხანაგებს გამოსაეუბრონ და გაიგონ როგორი აზრის არიან ევროპიელი სოციალისტები ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა საკითხების შესახებ.

სამწუხაროდ, ჩვენ ძვირად ვახერხებთ ასეთი მოვლენების დაფასებაში ზომიერების დაცვას. სოციალ-დემოკრატიული პარტია დღეს ჩვენში მმართველი პარტიაა და, როდესაც ის ევროპის ამხანაგების დახვედრის დროს ზომიერების ყოველგვარ წრეს სცილდება, ეს ფრიად სამწუხარო მოვლენაა.

რასაკვირველია, კერძოდ ამა თუ იმ სოციალ-დემოკრატს, თუნდაც „ერთობის" მეთაურს, ევროპიელ ამხანაგების ჩამოსვლის გამო შეუძლიან უსაზღვრო სიხარულის აღტყინებაში მოვიდეს და თუ ესურვება „ერთობის" მეთაურშიც დასწეროს: „რა კარგია ეს სოციალისტური ევროპა! უკვე ისმის მისი ძლიერი, საამური ხმა" და სხვ.

მაგრამ როდესაც ასეთს სასიხარულო ფერხულში ებმება სახელმწიფოს ოფიციალი ორგანოები—მთავრობა, დამფუძნებელი კრება, ქალაქები, ერობები, ჯარი და გვარდია ერთგვარი წესის და ზომიერების დაცვა სავალდებულო არის.

გადაჭარბებული გრძნობებს აყოლილი ადამიანი ხშირად სასაცილო ჰხდება. უნდა ვიზრუნოთ, რომ ასე სასაცილო არ გავხადოთ სახელმწიფოს უზენაესი ორგანოები, თორემ ამ მოგზაურობას, სარგებლობის მაგიერ სახელმწიფოს მორალური სახის დაზიანება მოჰყვება.

უკვე გამოქვეყნებულია დელეგაციის შეხვედრის წესი. ის ყოვლად შეუწყნარებელი და მიუღებელია. არა მარტო ჩვენ, არა სოციალისტები, არამედ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, არც ერთი ევროპის სოციალისტური პარტია არ შეიმუშავებდა თავის ამხანაგების მიღების ისეთს წესს, როგორც ეს ჩვენმა მენშევიკებმა შეიმუშავეს, გახარებულ ამხანაგებს სრულიად დაავიწყდათ, რომ მათი ამხანაგები მთავრობაში და დამფუძნებელს კრებაში სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლებია და ამიტომ მათთვისაც სავალდებულოა ის წესები სახელმწიფოებრივი წარმომადგენლობისა, რომელიც ყველა კულტურულ ქვეყნებში მიღებულია.

ევროპის სოციალისტების დელეგაციას ბათუმში უნდა დახვდეს ჩვენი მთავრობის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი. იკითხავთ, რატომ საგარეო და არა მომარაგების სამინისტროს ამხანაგი უნდა დახვდეს ჩვენს სტუმრებს? განა ეს დელეგაცია ოფიციალი წარმომადგენლობაა, განა მას აქვს რაიმე ოფიციალი დავალებანი ევროპის მმართველ წრეებიდან? რასაკვირველი არა. თბილისის სადგურზე დელეგაციას უნდა დახვდეს ჯარისა და გვარდიის საპატიო ყარაული. ჩვენმა მმართველებმა უნდა იცოდნენ, რომ ასეთი დახვედრა მხოლოდ ოფიციალი წარმომადგენლების მიღების დროს უნდა ჰხდებოდეს და ეს სამხედრო ნაწილები სრულიად არ უნდა იქნეს გამოყენებული კერძო ჯგუფურსა და პარტიულს დღესასწაულებში. ეს კიდევ ცოტაა!

სადგურებზე დელეგაციას უნდა დახვდეს მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც მათ სიტყვით მიმართავს. იქვე უნდა იყვენ დარაზმულნი ერობა-ქალაქები. გზაში ჯარი და გვარდია უნდა გაემწკრივოს და... უფრო მეტიც: 15 ენკენისთვე დღესასწაულად გამოცხადდა და ამ დღეს ყველა დაწესებულებები უნდა დაიხუროს. თვით დამფუძნებელს კრებაშიც უნდა გადავიდეს ეს პარადი და დასასვენებლად დათხოვნილი დამფუძნებელი კრება საგანგებო სხდომაზე უნდა შეიკრიბოს, რომ ევროპიდან ჩამოსულ სოციალისტების წინაშე საჩვენებლად, როგორც სცენაზე, დამფუძნებელი კრების სხდომა გამართოს!

ამ სამიოდე წლის განმავლობაში ჩვენში არა ერთხელ მოსულან ევროპის სახელმწიფოების ოფიციალი წარმომადგენელნი, უმაღლესი კომისარნი, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის და მთელ ამიერ-კავკასიის საქმეების მოგვარება. ამის მსგავსი რამ მათთვის არ გაგვიმართავს. ეხლა ევროპიდან გვესტუმრებიან, თუმცა ფრიად საპატიო, მაგრამ სრულიად არა ოფიციალი პირები.

რასაკვირველია ჩვენ და, განსაკუთრებით, მათმა ამხანაგებმა ისინი ჩვეულის სტუმართმოყვარეობით უნდა მივიღოთ. მაგრამ ის, რასაც ჩვენ ვაწყობთ, შეიძლება მეტად სასაცილო გამოვიდეს და უხერხულიც იმ პირებისთვის, რომელნიც აქ მოდიან თავის ცოლშვილით გარეშე ყოველგვარ ოფიციალობისა.

ვინც თავის თავზე ღებულობს სახელმწიფოებრივი მუშაობის მეთაურის მძიმე პასუხის მგებლობას, არ უნდა ივიწყებდეს, რომ ხშირად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ ვინ როგორ უნდა მიიღოს. როგორს შთაბეჭდილებას მოახდენს ევროპის მმართველ წრეებზე ის საზეიმო შეხვედრა, რომელიც 14—15 ამ თვეს საქართველოში უნდა გაიმართოს და რომელიც უთუოდ აღწერილი იქნება ევროპის გაზეთებში და შეიძლება კინემატოგრაფის შემწეობითაც გამოფენილი?

საქართველოს მთავრობა მეტად გულცივად იღებდა ჩვენი სახელმწიფოების ოფიციალ წარმომადგენლებს, ხოლო ის ევროპიდან ეპატიჟება და არა ჩვეულებრივის ზეიმით ხვდება ევროპის ქვეყნების ოპოზიციის წარმომადგენლებს. და ეს ჰხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ყველა თვალებით ევროპისკენ ვიცქირებით იქნებ იქიდან სესხი და სხვა დახმარება მივიღოთო.

კიდევ უნდა გავიმეოროთ: ევროპის სოციალისტების აქ ჩამოსვლამ შეიძლება დიდი სარგებლობა მოგვიტანოს. თუ ჩვენმა მენშევიკებმა თავისი მოღვაწეობა მათ ვარდის ფრად შეფერილი არ მოაჩვენეს და ჩვენი ცხოვრების სრული სინამდვილე გადაუშალეს თვალწინ, ევროპის ამხანაგებისაგან უთუოდ ბევრ სასარგებლო დარიგებას და რჩევას მიიღებენ. ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორი იქნება ეს დარიგება და რჩევა ამ სტუმრებისა, უკეთუ ისინი ჩვენს მმართველ პოლიტიკას გაეცნობიან. ამიტომ ჩვენ არამცთუ არ ვართ წინააღმდეგი, რომ ევროპის სოციალისტები აქ მათმა ამხანაგებმა კარგად მიიღონ, არამედ შესაძლებლადაც მიგვაჩნია, რომ არა სოციალისტურმა წრეებმაც მიიღონ საქმიანი მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის ევროპიელ სტუმრების გაცნობის საქმეში და აგრეთვე მათს მასპინძლობაშიც.

თუმცა ცოტა უხერხულობაა, როდესაც ევროპის გაზეთებში „ტაიმსში" და „მორნინგ პოსტში" გამოქვეყნებულია, რომ ეს დელეგაცია საქართველოს მთავრობის მიერ არის მოწვეული და არა სოციალ დემოკრატიულ პარტიისაგან, მაგრამ ამასაც რა გაეწყობა...

შეხვედრა მაინც უნდა მოგვეწყო ისეთი, რომ მთლად სასაცილოდ არ გავხდეთ ევროპის თვალში.

## პ რ ე ს ა

სოც. დემ. გაზეთი „ახალი სხივი" ეხება რა ქალაქების მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ის სესხი, რომელიც ქალაქებს მთავრობისაგან მიეცათ, მხოლოდ ჯამაგირების მომატებებს ხმარდება. შემდეგ გაზეთი ეხება ქალაქების საბიუჯეტო უფლების გაფართოების საკითხს.

რას ფიქრობენ თვით ქალაქები და მათი კავშირი, რატომ ისინი არ დააყენებენ ამ საკითხს, არ შეიმუშავებენ შესაფერის კანონს და არ წარადგენენ სადაც ჯერ არს?

ჩვენ გვესმენია, რომ ასეთი კანონი მზათ არის, მაგრამ ქალაქთა კავშირს ჯერ არ გაცილებია. რატომ? განა ეს საშური არ არის?—საშური ეს საკითხი ქალაქებისათვის შეიქნება მაშინ, როდესაც ცხოვრებაში სასტიკად გატარდება დამფ. კრების დადგენილება, რომ ქალაქებს მიეცემათ სესხი მხოლოდ წარმოებისათვის.

ეხლა კი ეს საკითხი საჩქარო არ არის, რადგან სესხს მაინც უხვად აძლევს მთავრობა და აღასრულებს დამფ. კრება.

ამიტომ საკითხის საჩქაროთ გადაწყვეტისთვის საჭიროა იცოდენ ქალაქებმა, რომ სესხს ისინი ვერ მიიღებენ, თუ არა წარმოებისათვის.

ქალაქების ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, თვით ქალაქებისათვის აქვს უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

განა შეიძლება ნამდვილი თვითმართველობის სახე შეინარჩუნონ მუნიციპალიტეტებმა, როდესაც ყველი გროშისათვის მთავრობასთან უნდა ირბინონ მათმა წარმომადგენლებმა, შებრალების ცხარე ცრემლები უნდა ღვარონ?

ეს თვითმართველობები კი არ არიან ასეთ შემთხვევაში, არამედ სამთავრობო დაწესებულებანი, რომელთაც არც თავის ნების ყოფა აქვთ და არც რაიმე საკუთარი შეხედულება.

განა ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელია თვით თვითმართველობისათვის და საერთოდ ჩვენი წინსვლისათვის?—საკითხი დაუყონებლივ უნდა გადაიჭრას, სამზადისი ეხლავე საჭიროა.

## მთავარ სარდლის გენ. გ. კვინიტაძის ბრძანება რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მიმართ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებულია სამხედრო უწყების მიმართ ამა წლის 8 სექტ. ბრძანებაში. მე გამომეცხადა მადლობა ჩემი მოქმედებისათვის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლად მყოფობის დროს და მასთან ერთად დაბრუნებული ვიქენი ძველ თანამდებობაზე სამხედრო სკოლის უფროსად.

საქართველოს მეომარნო! უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში მე ვიდექი თქვენს სათავეში და გიწევდით შეძლების დაგვარად ხელმძღვანელობას მთელი ჩემი ძალით. წინადაც, როგორც მშვიდობიანობისას, ისე სამხედრო მოქმედებათა დროსაც, მე არა ერთხელ შემხვედრია წილად თქვენ სათავეში ყოფნა. ჩემთვის ძვირფასს და მშობლიურ მხედრობაში, ჩემ ძვირფასს სამშობლოს მეომართა შორის გატარებულს დროს მე ვსთვლი ჩემის ცხოვრებისა და სამსახურის უბედნიერეს ხანათ, ჩემი უფროსობის ყოფნისას თქვენ არა ერთხელ დაამტკიცეთ თქვენი ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი.

საქართველოს გმირებო! თქვენ კეთილსინდისიერათ მოიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე. თქვენ ღვრიდით საკუთარ სისხლს. ხშირათ განიცდიდით სიმძიმესიცივეს, მაგრამ მტკიცეთ გახსოვდათ თქვენი მოვალეობა და მიუხედავათ გაჭირვება ხიფათისა, თქვენ, ჯარმა და გვარდიამ თქვენი გმირული გულმკერდით შეუნარჩუნეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა და ყველაფერი ის, რაც მისცა ჩვენს ქვეყანას რევოლიუციამ, თქვენ იცლებოდით სისხლისაგან საომარ ველზე თქვენზე უფრო მრავალ რიცხოვან მტერთან ბრძოლის დროს, თქვენ გადალახეთ უმაღლესი და ძნელად გასავალი მთები, გადაიარეთ მდინარეები, თქვენ როგორც არწივნი თავს დასტრიალებდით ჩვენი სამშობლოს სადარაჯოებს. მიმოფრინავდით ერთი საზღვრიდან მეორე საზღვარზე და შესიდით ეკვეთებოდით მტერს.

ჯარისა და გვარდიის მეომარნო! თქვენ მხარ და მხარ ერთმანეთთან ღვრიდით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავათ და ამით კიდევ უფრო მტკიცეთ დაუკავშირდით ერთმანეთს.

წითელ ხიდთან ბრძოლის დროს საბრალოთ გვარ. გმირულათ იბრძოდა უფრო მრავალ რიცხოვან მტერთან, რომელიც მანამდე ძლევა-მოსილათ მოდიოდა ათას ვერსს. მაგრამ საქართველოს შვილებმა პირველ შეტაკებისთანავე დაამარცხეს ის და უკუ აგდეს შორს ჩვენი საზღვრებიდან. გვარდია ღირსეულათ და სრული თავგანწირვით იბრძოდა მტერთან, რათა ომის სურვილით გატაცებულ მუდმივი ჯარისათვის საშუალება მიეცა მტრის შესახვედრათ მომზადებულიყო და გვარდიამ ჩვენი სახელოვანი წინაპრებივით შეასრულა თავისი მოვალეობა გმირულად და სახელოვნათ.

მე უნდა დავადასტურო, რომ თქვენ, საქართველოს მეომარნო, იბრძოდით თქვენი მოვალეობის სრული შეგნებით თქვენთვის საჭირო არ იყო მოცემული და ვალების შესასრულებლათ ძალდატანება, თქვენთვის მხოლოდ მიზნის დასახელება იყო საკმარისი და თქვენ უყოყმანოთ სრული შეგნებით და მხურვალე გულით ეკვეთებოდით მტერს. უფროსობა და ხელმძღვანელობა ასეთი მხედრობისა, რომელსაც უსაზღვროთ უყვარს თავისი სამშობლო და მტკიცეთ ესმის თავისი მოვალეობა მის წინაშე, ყოველი სამხედრო პირისათვის არის უაღრესი ბედნიერება. ჩვენს ძვირფას და სასიქადულო სამშობლოს ხსოვნაში ყოველთვის იქნება თქვენი გმირობა და მამაცობა, ის ყოველთვის მადლობით მოიგონებს თავის სახელოვან შვილებს.

ვსტოვებ რა მთავარსარდლის თანამდებობას, მე მსურს სრული პატივისცემით და მხურვალეთ აღვნიშნო თქვენი გმირული სამსახური სამშობლოსადმი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ ღირსეულნი შვილნი ჩვენი ღირსეული წინაპრებისა.

აღსდგენ საქართველოს ძველი გმირები. დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ, გაუმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას.

გენერალი კვინიტაძე.

# დ ე პ ე შ ე ბ ი

## ლიონის ცნობები.

### ახალი ფსიქოლოგიური ინსტიტუტი.

პსიქოლოგიური ინსტიტუტი, დირექტორთა საბჭოს მფარველობის ქვეშ იქნება საბჭოში შევა 5 პროფესორი; დელაკრუა, ჟორჟ დიუმა, ჟანნო, პეტრონი ეტიენ, რიშე და დეჯერინი: ფერდინანდ ბრიუნე და ფრანსუა ჰუზსე. მეცადინეობის საგანი იქნება როგორც საერთო და ექსპერიმენტალური ფსიქოლოგია, აგრეთვე პატოლოგიური და შედარებითი ფსიქოლოგია.

### ჯიოლიტი ე—ში.

ჯიოლიტი და ბარონ ალიეტი შაბათს საღამოს ე—ში მოვიდენ. მილიერანს კვირას დილით მიიღიან. „ეტიპარიზიენის" ცნობით მილიერანი და ჯიოლიტი საფრანგეთ-იტალიის პოლიტიკის დირექტივებს შეიმუშავებენ.

### რუმინეთის მემკვიდრე პარიზში.

რუმინეთის მემკვიდრე პარიზში მოვიდა, „მორნინგ პოსტის" წარმომადგენელთან საუბრის დროს, მემკვიდრემ განაცხადა: მე მომხრე ვარ, რომ რუმინეთი მეზობელ სახელმწიფოებს დაუახლოვდესო

### არეულობა პეტროგრადში.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: პეტროგრადში მოხდა არეულობა; რამოდენიმე სახალხო კომისარი მოჰკლეს და ნევაში გადაჰყარეს.

### ბულგარეთში.

სოფიის კორესპონდენტის ცნობით ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრით ლენინის გეგმა ბულგარეთს არ ეხება, ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას ნეიტრალიტეტი.

### ცნვერ ფაშა.

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან:: ნერა და ცნვერ ფაშა კათაბექიმმა, (?( ციხეში ჩასვაო.

### სპარსეთის ჯარი ლიოტისაკენ.

„ტანის" ცნობით სპარსეთის ჯარი ლიოტისკენ წინ მიიწევს.

### ხალხთა ლიგაში.

ლონდონიდან იუწყებიან: ხალხთა ლიგა მიმდინარე სხდომაზე, რომელიც მიმდინარე თვის 16 შედგება პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტს განიხილავს.

## მოსკოვის ცნობები.

მოსკოვი, სექტემბრის 12 ც. ა. ე. ზ. ბ.

### სამხედრო ცნობები.

სექტ. 11 გროდნოს რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო დაბა კუზნიცა და მის სამხრეთ-დასავლეთით 15 ვერსზე დაიჭირა რამდენიმე სტრატეგიული ადგილები.

ვოლკოვისკის რაიონში წამოვიყვანეთ 23 ტყვე. და ხელში ჩავიდეთ 1 ტყვიის მფრქვეველი. ბრესტ-ლიტოვის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ოპალინის სამხრეთ აღმოსავლეთით 10 ვერსზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

გრუბეშოვის აღმოსავლეთით 6 ვერსზე ჩვენ 1 სოფელი ავიღეთ, ლვოვის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს, სასტიკი ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე როგატინის მიდამოებში ამ ქალაქის ხელში ჩასაგდებათ.

### სიმშილის ფრონტი.

„იზვესტია" სწერს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია სცდილობს შექმნას ერთი მთლიანი ფრონტი წითელი საფრთხის საწინააღმდეგოთ. ჩვენ კი რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს სწრაფად და გამანადგურებელი იერიშის მიტანით უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს მტრებს თუ რამდენათ უსუსურია მათი იმედები. საბჭოთა რესპუბლიკას სურს ზავი,-მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, მას შეუძლია მთელი მსოფლიოს წინაშე დაამტკიცოს თავისი ძლიერებაც. წითელი არმიელთა ხიშტები საკმარისია იმისთვის, რომ ბურჟუაზიას საბოლოოთ განიდევნოს სხვა და სხვა ავანტიურისტები ფრონტები, მაგრამ მარტო სამხედრო ფრონტის სიძლიერე არაა მტრის დასამარცხებლად, ამისათვის საჭიროა ზურგი მაგარი იყოს. ეს კი თავის თავად მოითხოვს შრომის აღორძინებას. მთელი ჩვენი საუკეთესო ძალები სასურსათო საქმეებზე უნდა მივმართოთ და და ყოველივე ღონით უნდა დავეხმაროთ სასურსათო ორგანოებს: მუშებს, წითელ ჯარს, ქალაქს, სოფლის ღარიბ ნაწილის საკვება, სანოვაგე საჭიროა, გახსოვდეთ, რომ მაძღარი და ძლევა მოსილი მუშაობა და გლეხობა სახელმწიფო სიკვდილია ბურჟუაზიისათვის.

### რუმინეთი და საბჭოთა რუსეთი.

რუმინეთის მთავრობამ, საბჭოთა რესპუბლიკის ახალ წინადადებაზე მოლაპარაკების განახლების შესახებ უპასუხა: რომ მასაც გულითა და სულით სურს საეკონომიურო მეზობლური დამოკიდებულების აღდგენა რუსეთთან და იმედი აქვს ძლევა მოკლე დროში აღწყოს შესაძლებელ შეთანხმების პირობები.

### შლიაპნიკოვი შვეციის მთავრობამ დააპატიმრა.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ამხ. შლიაპნიკოვი შვეციის მთავრობამ დააპატიმრა, როდესაც ის სტოკჰოლმიდან რეველში წასვლას აპირებდა, შლიაპნიკოვი ციხეში ზის.

### პროფ. კავშირების დელეგაცია ნორვეგიაში.

პროფ. კავშირის დელეგაცია ნორვეგიაში მოვიდა. მთ ქრისტიანიაში ნორვეგიის პრ. კავშირთა წარმომადგენლები შეხვდნენ, ნორვეგიაში ჩვენს დელეგატებს ყველგან დიდის თანაგრძნობის ეგებებიან.

### პოლონელები და გენ. ვრანგელი.

პოლონელებმა ვრანგელის დახმარებაზე უარი სთქვეს. საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების განახლების გამო პოლონელებმა მოკავშირეთა რჩევით, ვრანგელთან ერთად შეერთებულ მოქმედებაზე უარი განაცხადეს.

## იტალიაში სრული სიმშვიდეა

ამ რამოდენიმ დღის წინად, საქართველოს დეპეშათა სააგენტომ, მოსკოვის ბოლშევიკების გადმოცემით საზოგადოებას აუწყა, რომ იტალიაში მუშების ძლიერი მოძრაობა დაიწყოო. იგივე ცნობა გადაბეჭდილი იყო ბათომის გაზეთებშიც; ეხლა როგორც „ბათ. ფურცელი" იტყობინება: „ეხო ბათომის" რედაქტორს ბ-ნ სულაბერიძეს იტალიის მისია ოფიციალურად აუწყებს, რომ ამას წინად გაზ. „ეხო ბათუმ"-ში დასტამბული ცნობა მოსკოვის რადიოსი იტალიაში არეულობის დაწყების შესახებ სიმართლეს მოკლებულიაო.

## პეტრე სტრუვეს პასუხი ამერიკის ნოტაზე.

ყირიმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაშინგტონში შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა რუსეთის წარმომადგენელს: „დიდის კმაყოფილებით გაეცნო სამხრეთ რუსეთის მთავარსარდალი და მთავრობა შეერთებულ შტატების განცხადებას რუსეთის პრობლემის შესახებ. იგივე დებულება ამ დეკლარაციისა, სახელდობრ: შეურიგებლობა ბოლშევიკური რეჟიმისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობა რუსეთისა, მთავარი სახელმძღვანელო იდეაა რუსეთის ყველა ნაციონალურ წრეებისა. ამ აზრს სავსებით იზიარებს სამხრეთ რუსეთის მთავრობა და თვის პოლიტიკურ პროგრამის საფუძვლად მხოლოდ მას აღიარებს. კეთილ ინებით და ყველაფერი გადაეცით საგარეო საქმეთა სტატს სეკრეტარს და განუცხადეთ გულითადი მადლობა სამხრეთ რუსეთის მთავრობისა და მთავარ სარდლისა ამ ფრიად ძვირფას მხარის დაჭერის გამო, რითაც ასე რიგად გაგვიმაგრდება ჩვენ შრომებმა რუსეთის საქმის წარმატება.

## საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

ბერლინი, სექტემბრის 2. გერმანიის რეიხსტაგში გერმანიისა და ლატვიის შორის დასადები ხელშეკრულობის პროექტი შეიტანეს დასამტკიცებლად. პროექტით გერმანია და ლატვია ერთმანეთს

და თოროსოკის, რომელნიც ითხოვენ მიეცეთ მათ სალიკვიდაციო გასამრჯელო.

გამგეობის აზრით ასეთი სალიკვიდაციო მათ ვერ მიეცემათ, ვინაიდგან ამა წლის 6 ივლის ბ. რ. ჯავახიშვილს, თოროსოკს და ლორთქიფანიძეს მიეღიათ ქალაქის კასიდან ინგლისის სარდლობის განკარგულებით ორ ორი თვის ჯამაგირი შტატს გარეშე დარჩენის გამო.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ საბჭომ დაადგინა გადაეცეს ეს საკითხი საფინანსო კომისიას, რომელსაც ეთხოვის განიხილოს იგი გამგეობისა და პრეზიდიუმთან ერთად და თავისი მოხსენება წარმოუდგინოს ქალაქთა საბჭოს.

### ქალაქის გამგეობაში.

ახლად ქალაქის თავად არჩეული დამფუძნებელი კრების წევრი გიზო ანჯაფარიძე უკვე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. ქალაქის თავი იღებს მთხოვნელებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით შუადღის 12 საათ. ნაშუადღევის 1 საათამდე.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ონიფანტე რამიშვილი შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.

### ბინის საკითხი.

საბინაო კომისიის თავმჯდომარემ ი. დიდიძემ პირადათ მოახსენა საგანგებო კომისარს, რომ ბინის საკითხის სიმწვავის რამოდენიმეთ შესანელებლად მიზან შეწონილი იქნება წინადადება მიეცეს ე. წ. „ფანერის“ მშენებელ ქარხანას აგოს ქ. ბათუმში თავისუფალ ადგილებში 30—40-მდე იტალიური სახლი რის სისრულეში მოყვანაც შეიძლება სულ ერთი კვირის განმავლობაში, ასეთი სახლები მეტად თბილია და მათში ზამთარში ცხოვრება შეიძლება. უკანასკნელ დროს საბინაო საკითხი უაღრესად გამწვავდა. სწავლა ახლოვდება, მოწაფენი ჩამოდიან და ქუჩებში რჩებიან, აგრეთვე მრავალი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულების მოხელე დაუბინავებელია. ბინა არ აქვს აგრეთვე ქალაქის თავს. საერთოდ აუცილებელია მთელი რიგი პრაქტიკულ ზომებისა, რომ ეს საკითხი მოგვარდეს. მაგალითად ქალაქის დაცლა ზედმეტ მცხოვრებთაგან მაგრამ მომენტისთვის იტალიურ სახლების აგება ყველაზე უფრო ადვილად განსახორციელებელი ზომა იქნება და სწრაფადაც შესრულდება, რაც შეეხება საბოლოოდ ამ საკითხის რადიკალურ გადაწყვეტას, ამისთვის ჩვენ ყოველივე მოსაზრება სასწრაფოდ უნდა შევკრიბოთ, რომ მიღებულ იქნას რადიკალური ზომები.

### ვალიუტის სპეკულიაციასთან ბრძოლა.

ოლქის მთავრობა ეს მეორე დღეა შეუდგა ბათუმში ვალიუტის სასპეკულიაციო კანტორების დაკეტვას, ვალიუტის კერძო ჩარჩულ ვაჭრობის აკრძალვას, რამაც ნაყოფი უკვე გამოიღო: უცხო ვალიუტის ფასი თბილისში და ბათუმში მიღებულ ზომების შემდეგ სისტემატიურად ეცემა.

### აკაკი ჩხენკელი.

ამ მოკლე ხანში ბათუმში მოელიან აკაკი ჩხენკელს.

— საგანგებო კომისარი მთავრობის თავმჯდომარესთან მთავრობის საგანგებო რწმუნებული და ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი აგვისტოს 7-ს ქ. ლანჩხუთში მოხსენებით იყო მთავრობის თავმჯდომარესთან.

— ბათუმის რადიო სადგური რადიო ტელეგრაფის სამმართველომ ზომები მიიღო ბათუმში ძლიერი, 10 კილოვატიანი სადგურის მოსაწყობათ. ახალი რადიო სადგური საშვალებას მისცემს ბათუმს დაუკავშირდეს კონსტანტინეპოლსა და ყირიმს. ამ შემთხვევაში ტფილისი ყველა რადიოს ბათუმიდან მიიღებს.

### სასამართლოს ცხოვრება.

ბათუმის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ მოქმედება დაიწყო. ბათუმს საოლქო სასამართლოს მოწყობის სარეორგანიზაციო მუშაობას სასწრაფოდ დასრულების მიზნით ბათუმს ჩამოვიდა სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი მ. კანდელაკი.

### პარტიული მუშაობა.

პარტიული მუშაობა ბათუმის ოლქში უკვე დაიწყო. ჯერ ჯერობით აქტიურათ გამოვიდნენ მენშევიკები, რომელთაც თავისი პროპაგანდისტები დაგზავნეს ოლქში სამუშაოდ და თვით ქალაქში ხომ თითქმის ყოველ დღე მართავენ პარტიულ კრებებს. მათი ცენტრალური ბიურო მოთავსებულია მარინეს პროსპექტზედ საბაშვილის სახლში.

## მიხ. ზაალიშვილის დაკრძალვა.

კვირას ენკენისთვის 12-ს დიდუბეში, ქართველ-მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს გვამი ტრაგიკულად დაღუპულ მიხეილ ყარამანის ძის ზაალიშვილისა

დილის 9 საათიდა თბ. ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის ბინაზე, საცა წინადღით გადმოსვენებულ იქმნა ცხედარ მიხეილის სახლობის პროსპექტურიდან თავი მოიყარეს გიმნაზიის მოწაფეებმა, მასწავლებელთა კორპორაციამ, მშობელთა წრის წარმომადგენლებმა და მრავალმა პატივის ცემელმა. ამ დროსვე მოვიდნენ გიმნაზიაში სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ბ. ცინცაძე დირექტორებით. მცირე პანაშვიდის შემდეგ მასწავლებელთა კორპორაციის მხრივ სიტყვა წარმოთქვა ბ. ისტრებოვმა, ხოლო გიმნაზიის მშობელთა წრის მხრივ ექიმ აგაჯანოვმა. ცხედარი, წინაამდეგ განსვენებულის ანდერძისა, შემკული იყო ყვავილებითა და გვირგვინებით.

დიდუბემდე განსვენებულის კუბო ხელით მიჰქონდათ მოწაფეებსა და მასწავლებლებს წირვისა და ანდერძის შემდეგ სამარის წინ პანთეონში სიტყვები წარმოსთქვეს დეკ. მირიანაშვილმა გორის გიმნაზიის მოწაფეთა მხრივ, საცა განსვენებული დირექტორობდა, მოწაფე გომელაურმა და ერევნის გიმნაზიაში განსვენებულის დირექტორობის დროს ყოფილმა სჯულის მოძღვარმა დეკ. ქრ. ჯიოშვილმა.

ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე ცხედარი სამარეს მიაბარეს.

## თეატრი და მუსიკა.

### „ძმები კარამაზოვები“.

დიმიტრი მერეჟკოვსკიმ პირველად ამხილა, რომ დრამატიზმის მხრით დოსტოევსკის დიალოგს ვერ შეედრება ვერც ერთი მსოფლიო მწერალის დიალოგი. ნიკოლოზ ბერდიაევმა პირდაპირ განაცხადა, რომ დოსტოევსკი დრამატურგია უფრო ვიდრე რომანისტი. ვიაჩესლავ ივანოვმა „რომან ტრაგედიის“ სახელი მისცა „ძმებს კარამაზოვებს“.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის წინაშე წამოდგა დოსტოევსკი მაცდური მიმზიდველობით: მისი სცენაზე განსხეულება ისეთივე ძლიერი არტისტული ტალანტით, როგორც ეს მოხდა ჩეხოვის პიესების შესახებ. მაგრამ ჩეხოვი ერთი მხრით და დოსტოევსკი მეორის მხრით: მანძილი დიდია. ხოლო რამდენად საძნელო იყო დოსტოევსკის განსცენიურება, იმდენად დიდი იყო მისი მიმზიდველობა.

და მოსკოვის არტისტებმა დაიჯერეს, რომ „ცდა ბედის მონახევრეა“,—და დარწმუნდნენ კიდეც, რომ ამ ცდაში ბედს მათთვის არ უღალატნია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის არტისტების მიერ „ძმები კარამაზოვების“ დადგმა სცენაზე დიდი არტისტული მოვლენაა.

საოცარია პირველი აქტი. აქ არის შუაში მოხუცი კარამაზოვი როგორც „გალეშილი ქაოსის“ უკანასკნელი მოჩვენება. იგი ყველაფერია და ამავე დროს თითქო არაფერი, იგი ხანდახან ფორმალისტია და რაციონალისტი, მაგრამ მისი ერთი უეცარი ირრაციონალური ხაზის მოქნევით მთელი ეს მსოფლიო სილლოგიზმები სადღაც ითქმებიან. იგი მუდამ მთვრალია უცნაური მათრობელი თესლით, მაგრამ მას არც სიფხიზლე ღალატობს არასდროს. იგი პოტენციაა ძმების კარამაზოვების: მასში ბუდობს აულაგმავი და გადავარდნილი დიმიტრი, მასში ფხიზლობს ურწმუნო ივანე, მასში მოსჩანს შორით კეთილი ალიოშას ეპილეპსია. მასშივე ლპება ცინიკი და ნიჰილისტი სმერდიაკოვი, მისი ბუში და რამოდენიმეთ ივანეს კარიკატურა. იგი ავხორცია სხეულის საშინელი გალეშვებით. და როცა იგი დგას სცენაზე მომქმედი თუ მოლაპარაკე ივანესა და ალიოშას შუა, თქვენ ხედავთ ქაოსის ნამდვილ ატორტმანებას. სმერდიაკოვი კი მისი ქაოსის ლორწს მხოლოდ სწამლავს და ახელებს თავისი უკანასკნელი ლაქიური სიტყვებით. და როცა გახელებული დიმიტრი შემოვარდება და ეცემა იქით-აქეთ ბოდვებით და ყვირილით, თითქო მოხუცთან იმალებოდეს გრუშენკა, შთაბეჭდილება საშინელების საზღვარს სცილდება. და ეს საშინელება კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ძალზე შეშინებული და ფიზიკური ძალით განადგურებული მოხუცი თვითონაც იწყებს ბოდვას,—შეიძლება მართლაც მასთან იყოს მოსული გრუშენკა და ცახცახებს სიტკბოს მოახლოებით: ქაოსის ლორწი აქ ავხორცობის ნერწყვად ითხევა.

ძალზე კარგია პავლოვი-მოხუცი კარამაზოვი და კარგია არტისტი სმერდიაკოვის მასახიერებელი.

მეორე აქტიც მდიდარია ყოველის მხრით, აქ არის რუსეთის „ტროიკა“ და საზღვრების გადალახვა. აქ არის დათრობა და უფსკრულზე თამაში, აქ არის დიმიტრი, რომლისათვის არაფერი არ ღირს, რომ ერთი წუთისათვის წაავოს მთელი სიცოცხლე. აქვე არის გრუშენკა, ეს ავი ქალი რუსეთის მიწის დედისა: უცნაური თავისი რუსული სილამაზით, ერთგული და შეუბრალებელი, კეთილშობილი და სურვილით ანთებული, ავხორცი და ამაყი, ქალი, რომელშიაც ამოშლილია ყოველი საზღვარი, ქალი-ბუნება თვითონ, ლამაზი და დამღუპველი, ქალი—ბედი, რომელსაც ვისაც შეხვდება ყველას გაანადგურებს.

შესანიშნავია გერმანოვა—გრუშენკა და კარგია არტისტი დიმიტრის მასახიერებელი.

მესამე აქტი მძაფრია დოსტოევსკის ქძაფით. აქ არის მთელი მისტიკა ადამიანის გაორების: ივანე კარამაზოვი ბოდვეში ეშმას ელაპარაკება. ეშმა ივანეა თვითონ, მაგრამ ასტრალურად არის მისგან გამოყოფილი.

იგი არცა არის და კიდეც არის: ამაშია მთელი საშინელება. იგი მეტაფიზიური მინუსია, რომელიც საჭიროა მსოფლიო ალგებრისათვის. სადაც არის ღმერთი, იგი თანვეა გვერდით. იგი სიცალიერეა და სურს განსხეულება, მაგრამ რჩება სხეულების შუაგზაზე და ნაღვლობს უძლევი სევდით. მას სურს უთხრას „ოსანა“ ქრისტეს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან ევკლიდის ტვინი სხვას უკარნახებს. იგი ნგრევისთვისაა მოვლენილი და იცის კარგათ, რომ ამისათვის საჭიროა მხოლოდ პატარა რეცეპტი: მოკვლა უკვდავების იდეის: რომ იქცე ღმერთად, უნდა მოჰკლა ღმერთი. იგი ივანე კარამაზოვია თვითონ, რომელიც ებრძვის მაში დარჩენილს სხვა დასაწყისს.

კაჩალოვი შესანიშნავია ამ როლში, დიდი ფსიხოლოგიური დაკვირვებაა საჭირო ამ როლისათვის. თანვე დიდი ცოდნაც. და ვიტყვი თამამად: დიდი შეგნებაც. კაჩალოვს ეს ყველაფერი აქვს. გარდა ამისა, აქ არის ტეხნიკური სიძნელე: ელაპარაკო თავის თავს ისე, თითქო ორი ლაპარაკობდეს, ეს სიძნელე გამარჯვებით სძლია კაჩალოვმა. საერთოდ, მისტიკა სცენაზე არ გამოდის, მაგრამ აქ უღალი თვალებით იხედებოდა იგი. აქ გამოჩნდა დოსტოევსკის სიდიადე. ხედავ საიდუმლოს—და შექსპირები ირხევიან: იბსენებზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

მეოთხე აქტი „გასამართლება“ სრულებით უნდა მოიხსნას: მას შემოაქვს მხოლოდ „ლიტერატურა“ და არღვევს საერთო ფონს (—რასაკვირველია სცენაზე მხოლოდ). მაგრამ, შესაძლებელია ეს შთაბეჭდილების გასანელებლადაც იყოს!

გივი გოლღენდ.

## ჩვენი კორესპონდენციები

### ქვალონი.

(ზუგდიდის მაზრა).

წრეულს ქვალონმა დიდი შიმშილი გადიტანა. დამშეულს ხალხს მთავრობამ საგრძნობი დახმარება აღმოუჩინა. თუმცა შიმშილობამ არა ერთი და ორი სიცოცხლე იმსხვერპლა, თუმცა შექმნილმა მდგომარეობამ არა ერთი და ორი ოჯახი დაღუპვის უფსკრულამდე მიიყვანა, მაგრამ ყოველივე ამას, ადგილობრივ თვითმართველობის გამგეობის და მილიციის უფროსის მეტად ნაყოფიერ მუშაობის მეოხებით, ქვალონში არ მიუღია შედეგად დამნაშავეთა და დანაშაულთა ზრდა. პირიქით მიუხედავად იმისა, რომ წრეულს ქვალონში შიმშილობის გამო ცხოვრების ჯოჯოხეთური პირობები დამყარდა. ავკაცობა: ავაზაკობა, ქურდობა, მკვლელობა, თავდასხმა და სხ. შედარებით წინაწლებთან, საგრძნობლად შემცირდა.

წრეულს ახალი მოსავალი ქვალონში მეტად კარგი იმედს იძლევა. ქვალონელები წრეულა მართლა ერთსულოვნად და მოყაითად შეუდგნენ მიწის დამუშავებას, ვფიქრობთ, ამ გარემოებამ უფრო უნდა შეუწყოს ხელი ნამუშევარს, ვიდრე „გვალვამ“ რომელიც ასე საჭიროა ქვალონისთანა ჭაობიან ადგილებისათვის.

ზემო სამეგრელოში მოსავალს წრეულს არ უჩანს კარგი პირი. „დობერამ“ ეჩიბა „ლაკადას“.

ეს ორის ქვალონელები თავს აზწევენ შიმშილობის გაჭირვებას, [illegible] კვლავ ახალი გაჭირვება იწვია თქვს. მიმდინარე წლის 5 ენკენისთვეს ნაშუადღევს, ავაზაკები რიცხვით 6 კაცი დაესხნენ ქვალონის „საპ რბორორტო ბაქ ნზე“, ხეთიდან სენაკისკენ მიმავალ სამგზავრო მატარებელს. ბორორტმოქმედებმა ატეხეს საშინელი სროლა, მატარებელი შეაჩერეს, ყველა მგზავრები გადმოყარეს, მემანქანეს სცემეს და ბოლოს დაუწყეს მგზავრებს ძარცვა. ართმევდნენ ფულებს და ოქრო-ვერცხლის ნივთებს. წართმეული ფულების და ნივთების ანგარიში გამოურკვეველია. ბორორტმოქმედთადმი არც ერთ მგზავრს წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუ არ აღვნიშნეთ მატარებლის „მო“ იგ ფოსტალიონისმიერ“რევოლვერის ზევით გასროლა, მიუხედავადმგზავრების ასეთი საქციელისა, ავაზაკებმა მაინც ბევრი მგზავრებს სცემეს და თან აბარებდნენ მათ: „გადაეცით მთავრობას მალე, რომ განგვათავისუფლონ ჩვენ დანაშაულებათაგან, თორემ მთლად ავიკლებ ქვეყ ნასაო“. ბოლოს ავაზაკებმა თავ სი ჯავრები განუცხადეს ხალხს და „დიდი ალაფით“ გაუდგნენ სროლით გზას. თემის სამმართველო, სადაც იყვნენ ამ დროს ადგილობრივი მილიციელები, კარგა მანძილით დაშორებულია ამ „საჭირბორორტო ბაქანიდან“ (მათ შუა მანძილი სამი ვერსია) სანამ მილიციელი კარგად გაარკვევდნენ სროლის ადგილს და „ბაქანთან“ გაჩნდებოდნენ, ავაზაკები უკვე მიმალულიყვნენ, მაგრამ მილიციამ მაინც სცადა ავაზაკების ძებნა და დაედევნა...

ბორორტმოქმედების ადგილზე აღმოჩნდა ერთი (ქვალონელი) მოკლული რკინის გზის მუშა კონდრატე ჭანტურია და სამი მგზავრი მძიმედ დაჭრილი (ერთი კაცი და ორი ბავშვი), ერთი დაჭრილთაგანი გზაში გარდაიცვალა. მკვდარი და დაჭრილები ყველა ქალაქ ახალ სენაკში წაიღეს იმავე მატარებლით. ასეთია 5 ენკენისთვეს ქვალონში დატრიალებული ტრაგედია. ზუგდიდის მაზრ ს მდგომარეობა მეტად უნუგეშოა.

ხოჯანა.


სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ.
არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.



სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხე. კედია.


## ბარათი თუშეთზე

(მე-2 ბარათი)

### მწყემსი.

როდესაც ქართველი თუშს ახსენებს, უეჭველად თვალ-წინ წარმოუდგება იგი მხარზე თოფ გადაკიდებული და ჩობახით ხელში, თითქოს მრისხანე, მაგრამ მაინც მარილიანი. თვალტანადობის ახოვანი ვაჟკაცი. პირადად ჩემში ესეა მაინც. „თუში“ იტყვიან და ჩემს მოგონებაში უეჭველად გადიშლება ამწვანებული მთის ლამაზი კალთა, და ზედ შეფენილი ცხვრის ფარა, და სადმე სერზე ნაბად გვერდით მოგდებული, მოხდენილი ვაჟკაცი უმზერს, უმზერს დიდხანს პირზე ღიმ მორეული თავის მარჩენელს და საყვარელ საქონელს. თავის მკვირცხლი თვალით ამჩნევს რომელი ცხვარი ცელქობს და წინ გაურბის მთელ ფარსა, ათასში ყველას სათითაოდ სცნობს, ან იქნებ იმიტომ, რომ შემდეგ დასვენებული თვალით უფრო ტკბილი იყვეს მათი მზერა, ერთს გაუსტვენს, შორს წასულ ცხვარს დააბრუნებს, ამოიღებს თავის დუდგულა ხის სალამურს და, ვინ იცის, რა მხრივ არ ააკვენებს, რას არ ათქმევინებს, როგორ აატირებს და ხან გიჟმაჟ თვალშავა გოგოსავით აკისკისებს. სალამურს ელაპარაკება და ალაპარაკებს. ან კი ვის გასცეს ხმა, ლამაზ ყვავილებს? მათთან საუბარი ხომ დიდი ხანია მოეწყინა:, ყოველივე უკვე უთხრა, მთის კისკისა ბროლის მდინარეს? დილას არ იყო, რომ ჩავიდა და ამბავი დააბარა თავის სოფლის მზიებთან? თან მოკითხვა და სალამი გაატანა, სალამი მწყემსის, სალამი ვაჟკაცის და იმედიანი... ნურას გეშინის, ვერც ლეკი, ვერც დიდი ვერას დამაკლებს, თქვენ მყავდით კარგადაო... აი პირველი სურათი ჩემს მოგონებისა, სხვა არვიცი, მაგრამ ეგ კი უფრო მეტად შემიყვარდება ხოლმე ამ დროს იგი, შემშურდება ასეთი ლაღი ნაღვლით, მაგრამ ყოველთვის ხომ არ არის მზიანი დილა, მოკრიალებული ცა, გამჭვირვალე წმინდა მსუბუქი ჰაერი, ყოველთვის ხომ მდინარე არ ღიკლიკებს. არის ბნელი, ჩამოქუშრული საშინელი ღამენი თავის სიდიადით და საიდუმლოებით. ძირს ხევში, თითქოს ქვესკნელშიო ისე, ჰქუხს და შფოთავს ოდესღაც მოღიკლიკე პატარა მდინარე, აწყდება კლდეს, ეხეთქება, იმუქრება და ამ მუქარს ხმას აძლევს ცის კიდურზე, იქ ცხრა მთას იქიდან ყრუ და გულშემზარავი გრგვინვა. ნუ გგონია ქვეყანა შენ დაგრჩენია, მეც ვარ ქვეყნადო და თან შურით თვალებს გააბრიალებს.

უკუნეთი ღამე... ჩამოწოლილი ცა, თითქოს ჩამონგრევას აპირებსო, წვიმა, წვიმა შეუწყვეტელი მდინარის მრისხანება... ამ დროს თუში მწყემსი თავის ნაბდის ამარა, მარტოდ, უხმოდ უვლის გარშემო თავის ფარას, არ მოიწყენს და სადმე ხევში არ გადამეღუპოსო, თავს ევლება, ძაღლები, მისი ერთგული ამხანაგ ვრნი წკმუტუნებენ, კანკალობენ თითქოს რაღაცას მოელიან, მოუსვენრად არიან. ხან გაიჭრებიან წყვდიადის კედელს იქით და უეფით სადღაც სერს იქეთ გადიკარგებიან, ყეფა მათი მხოლოდ შორიდან ისმის. „ნადირ იქმნება საითმე“ ამბობს „ვაი თუ დიდომ დრო იპოვა და გადმოგვეპარა“, და დიდის ფიქრებით ფრთხილად შინჯავს ერთგულ ძმას „ხუთ სახროლიანს“ გადმოგვეპარა და არც უპატივცემლოთ გავის ტუმრებთ ალბადაო. და კვლავ წვიმა, კვლავ ქუხილი კვლავ სიბნელე.

მაგრამ აი ამ სიბნელეში გაიკლაკნა გველივით ცეცხლის ენა და რაღამაც გაიწუწუნა. „აჰაი ტიალო!“ ვეფხვით შემოდრიალდება უნდა გაიგოს საიდან მოდის ვერაგის ტყვია. და ბუნების ჯოჯოხეთს უერთდება ადამიანის ბოროტების საშჯარავე. ჰაერში იკლაკნებიან ცეცხლის ენები, წუწუნებენ ცხელი ტყვიები. აგერ, ცხვარი დაეცა ერთი, მეორე და ფარაც ბღავის, საშინელ ბღავილით გარბის უგზო უკვლოდ, გამწარებულმა მწყემსმა არ იცის რას მოუაროს, მტერს დაჰხვდეს თუ დაგლეჯოს ერთად ერთი იმედი...

და ოდეს გათენდება დილა, დილა მზიანი, ფერდობზე ხშირად გულ გაგმირული, სისხლში მოსვრილი, მკერდში თოფ ჩახუტებული მწყემსი გდია, და მზის მკვეთრი სხივები სიყვარულით ელერსებიან, ეტრფიან თითქოს ამით უნდათ უკანასკნელად ჩაიხუტონ მისი ლამაზი სახე მკერდშიო და თითრად გადაპენ ტილი დიყა კი სინანულით აქნევს თავს და ზედ აყრის მარგალიტის წმინდა ცრემლებს.

ასეთი სურათიც გადიშლება ხოლმე ჩემს წინ, გადიშლება და გული სევდით ამევსება, როდესაც მართალი მარჯვენა კაცთა გულღვრძობის გამო ესალმება ქვეყანას, როდესაც ლამაზი ვაჟკაცი ეკლდება სხვა ვაჟკაცთ ჩაზმებს.

ვხედავ ნათლად თუ ვით დაჰყმუის თეთრი ალმასა თავის ძვირფას პატრონს ან იქ სადმე სერის ორწოხებში დაჰბღავის ცხვარი ეულად და მარტო, ვხედავ და უფრო ძლიერი სიყვარულით ივსება ჩემი გული ამ მწყემს-თუშისადმი.

და უეჭველად თუში და მწყემსი ჩემში განუშორებელი და განუყოფელია მუდამ.

მწყემსი მთელ თავის სიწყნარის დაუსრულებლობით, სიმშვიდით და სილამაზით. მწყემსი სავსე თქმულება ლეგენდებით და ტკბილ-მწარე სალამურით.

მწყემსი თუში თავის სივაჟკაცით, ლომგულობით და მრისხანებით, სიმკვირცხლით და მაგარის ძარღვით, მაგარის მკლავით.

ეს ყოველივე მასში ისე ლაზათიანად და ზნოიანად შეზავებულა, რომ ვერ იტყვის კაცი, სად იწყება ერთი და სად აქვს ლამაზი დასასრული მეორეს.

ყოველთვის გარედ მავალი, ყოველთვის ბუნებასთან მყოფი ისე შესჩვევია მას, რომ წარმოუდგენელია უიმისოდ, თუ ვით იცხოვრებს და მასაც ამ ბუნების ყოველი ნაწილი შეუქა უჩვეულო ლეგენდებით გულუბრყვილო ლამაზ თქმულებებით და რომ მიუთითებ ყვავილს, რომელიმეს, პასუხად მოგიყვება, რა იყო წინად იგი და რად არის დღეს ბალახათ გადაქცეული.

ან მთის მწვერვალზე სამი ქვა რომ ერთად სდევს, რომელ გმირმა მოიტანა და რისთვის დასდო, ან რა სთქვა და როგორა სთქვა.

მწყემსი უხმო და მწყემსი მგოსანი მწყემსი გულქვა და ლმობიერი, მწყემსი ფრთხილი და დაურიდებელი მწყემსი სტუმარ-მოყვარე, მაგრამ ყოველივე თავის დროზე, ყოველივე თავის რიგზე.

და თუ გგონია გააკვირვო რაიმეთი. არა, სრულიად არაფრით.

სტუმართ მოყვარება და მგზავრის დახვედრა ხომ მისი ვალია, ჩეჩს ბინის ახლო გაიარა და პატივი უნდა ვცემო. ბევრს არას მოგიტანს, ცხვარს დაჰკლავს, შეგიწვავს წვადებს და გაგიკეთებს „ჩობან ყაურმას“ და ისეთი გულით. ისეთი მხიარულად და პარმცინარე დიდი ბოლომის პატრონს წამს გაუქარვდება ყოველივე დარდი ნაღველი და მასთან ერთად მიეცემა სიხარულის და სილაღეს...

წვადს შეგიწვავს დეკის ტოტებზე (როდოდენდრო კავკაზიკუმ ალპიური მცენარეა) და თან დაატანს: ერეკლე როდესაც უფალს სულის აბარებდა, მაშინ ინატრა: ღმერთო ისე ნუ მომკლავ რომ დეკაზე ნახუხი მწვადი არ მაჭამა და ზედ თოვლის ნაჟური წყალი არ დამაყოლებინაო“.. და, მართლაც, მწვადი შიშხინებს დეკის ალზე და პატარა მწყემსი კი მოარბენინებს თოვლის ნაჟურის წყალს. მართალი ყოფილა ერეკლე, რომ ესე უნატრია, ასეთ მასპინძელს კაცი ალბად იშვიათად შეხვდება, ასე ლამაზად ალბად ძვირად შეაქცევს სადმე თავს.

და ჰხედავ ქიჩაზე ამ მთის არწივების უბრალო ბინაში, და უნებლიედ შეჰნატრი მათს ცხოვრებას, შეჰნატრი მარტოდ, რომ ყოველივე ლამაზია: ქირიც და ლხინიც, უბედურებაც და სილაღეც. პატივისცემა ერთი მეორის, პატივისცემა სხვისი ქონების.

თუ მოახდა სადმე და როგორმე ვისმე მწყემსმა (ნაქირავებმა) დაუკლა სხვას ცხვარი, რჯულამდე ჩაჰყვება, დაუმტკიცებს, რომ მან დაუკლა იგი, და თანახმად მამაპაპათა ჩვეულების და წესისა, დამკვლელმა შვიდი ცხვარით უნდა უზღოს ერთი დანაკლისი. მოვიდეს ჩემთან, უჭირს,—ერთს კი არა, ათს მივცემ, კიდევ მეტს, მაგრამ ქურდულად ღმერთმა ნუ ჰქმნას, იშვიათია ჩვენში და თუ მოხდა ერთი შვიდათ უნდა ჰზღოს, მაგ თემის შემარცხვენელმაო და შეერგოს შხამათ თუშეთში მოყვანილი ქუმელიო. (ქუმელიო-დახალული ქერის ფქვილია, მარილ წაყრილში მოზელილი, რომელსაც თუში და უფრო ხშირად მწყემსი პურის მაგივრათ ჰხმარობს.) იტყვის და აასრულებს კიდეც.

ამ თავისუფალ მთის შვილს ეჯავრება ეზიზღება ყოველივე უწესობა, ყოველივე არევ დარევა. უყვარს რომ ყოველგან წესი და რიგი სუფევდეს, ყველას თავისი ადგილი ჰქონდეს და ყველამ იცოდეს თავის დანიშნულება. ყოველ ბინაში (ბინა-კერძოდ მეცხვარეთა ამოჩემებული ადგილია, სადაც ცხვარი იწველება, კეთდება ყველი, ქუმელი და სხვა და საზოგადოთ კი ცხვრის რამდენიმე ფარა ერთ ამხანაგობათ შეერთებული.) თავისი უფროსი სარქალი ჰყავთ. ეს არის პატრონი და ბატონი მთელ ბინისა, გამწესებელი ყოველ საქმისა, უიმისოდ არავის არ შეუძლიან გააკეთოს რამე, დაუკითხავად აილოს. ყოველივე სარქალს ეკითხება და მოეთხოვება, თვით ცხვრის პატრონი სარქალის ნება დაურთველად ხელს ვერას ახლებს. „სარქალო, შეძლება ბალღი ცხენის მოსარეკად გავგზავნო?“ შეეკითხება. და მწყემსებსაც ყველას თავის საქმე, აქვს: რიგი ბერწს მწყემსავს, რიგი მეწველე, ბატკანს, რამდენიმე ყველს აკეთებს და ეს ყოველ ვე დიდი სიმკაცრით, ყველამ თავისი იცის და სხვის საქმეში არ ჩაერევა.

თვით იცის თავის საქმისა: მწყემსი ბალღი არ არის, თავათ მოუვლის თავის საქმეს“. იტყვიან ერთმანეთში და, მართლაც ყველამ იცის თავის საქმე.

საღამოს მოირეკება ბინაზე ცხვარი, დაიწველება, აინთება ცეცხლი და შემოუხდებიან გარშემო, მოყვებიან პატარა ხანს თავის თავგადასავალს უნახაობის ჟამს, მოიგონებენ იმ დროს, თუ ვით დაეცა ლეკი „საგველე მთაზე“ და ჰლამობდა ცხვრის მოტაცებას, თუ ვით დახვდნენ მათ და კუდით ქვა ასროლინეს ან ვის მოუკვდათ საუკეთესო მწყემსი მეგობარი. იტყვიან ცოტა რამეს კიდევ, უსურვებენ ურთი ერთს ღამე მშვიდობისას და თავის ნაბდით გაეშურება ყველა თავის თეთრზე, თავის ძვირფას ცხვრის ფარისაკენ.

იმყოფები ამ ძვირფას ხალხ შორის და ჰფიქრობ სიხარულით, რომ კიდევ ბევრნი არიან საქართველოში ყაზბეგის ელგუჯა და კობანი. იმავ სიყვარულით, იმავ გულით და ლამაზი გრძნობით. იქნებ თვით ამ ძლიერი მწერლის კალამი, მკვეთალადაც კი გამოჰხატავს მათ ნამდვილ სახეს, მათს ნამდვილ ზრახვას და გულის ნდებს.

და რა ძლიერია მათში ეს ყოველივე, და ძლიერია სიყვარული მშობლიურისა მათ გულში, ვინც ასე ერთგულად სცხოვრობს და ვისთვისაც თითქოს სულ ერთი უნდა იყვეს ამ ქვეყნის ჩარხის ტრიალი.

რა ძვირფას მოგონებათ აქვთ ყოველი წარსულის თითო ფურცელი, სტრიქონი და სიტყვა. მასთან შესისხლორცებულან, შეთვისებულან, მაგრამ ყოველივე ახალს და კარგს მეტის სიყვარულით იხუტებენ მკერდში.

უნდა წავიდე, უნდა დავშორდე ამ ხალხს, მაგრამ გენანება მათი ასე მრავალმხრიობის თავის დანებება, მაგრამ გულს იკეთებ მით, რომ მოსცილდები მეცხვარე-თუშს, მაგრამ მიხვალ იმ სოფელში, იმ ხალხში სადაც იგი დაბადებული, სადაც იგი აღზრდილა და იმედი გაქვს, დაგხვდება ისეთივე ძვირფასი ხალხი, ვით მწყემსი თუში, სადაც ისევე ლამაზ გრძნობას განიცდი და შეგენატრება ის დრო როდესაც მთელი საქართველო ასეთ ხალხით იყო დამშვენებული.

ნ. კეცხოველი.